

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



ბეჭედების და ინструкციების
კანკული

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

№ 1

01.01.1979 — ЯНВАРЬ

თბილისი — 1979 — ТБИЛИСИ

საქართველოს აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის
გიურისა და საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 18 ნოემბ-
რის ერთობლივი დადგენილება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმზრდელობით მუშაობაში
არსებული ფორმალიზმის შემთხვევებისა და მათი აღმოფხვრისათვის
ბრძოლის გადაჭრით გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, ხელმძღვანელო-
ბების რა სკვპ 25-ე ყრილობის მოთხოვნით კომუნისტური აღზრდის
პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომის შესახებ და აღნიშნავენ
რა ამ მიმართებით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებ-
ის საქმიანობაში უკანასკნელ წლებში გამოკვეთილ დადგებით ტენ-
დენციებს, მიმდინარე ეტაპზე მოსწავლე-ახლგაზრდობის კომუნის-
ტური აღზრდის ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვა-
ნებს ამოცანად მიიჩნევთ აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის
წინააღმდეგ ბრძოლის გადაჭრით გაძლიერებას, მისი აღკვეთისათვის
კონკრეტული, ქმედით ღონისძიებების განხორციელებას საქართ-
ველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამი-
სად, რესპუბლიკის მასწავლებელთა შე-4 ყრილობზე, საქართველოს
კომკავშირის 31-ე ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანათა სულისკვეთებით.

ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, თვალის ახვივა და სიყალბე,
მოჩვენებითობა, არსებული ნაქორევანებების მიფუჩება, რეალური
მდგომარეობის შელამახება და ზედაპირულობა, ზერელობა, — რა-
საც ჯერ კიდევ აქვს აღგილი სასკოლო კომკავშირული და პიონერუ-
ლო ორგანიზაციების, რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების, პი-
ონერთა საბჭოების, პერაგოგიური კოლეგიების, სახალხო განათ-
ლების ორგანოების; საშეფო ორგანიზაციების, ოჯახების, მშობლე-
ბის აღმზრდელობით მუშაობაში, — საბოლოო ჯამში, როგორც აღ-
ზრდის ნომერ პირველი მრერი, თავის უარყოფით გავლენას ახდენს
მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მთელ
საქმეზე.

აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტული საკითხებისადმი სწო-
რედ ფორმალური დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია ის სერი-
ოზული ხარჯზები, რომლებიც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებ-
ლო სკოლების პედაგოგიურ კოლეგიებს, კომკავშირულ და პიონე-
რულ ორგანიზაციებს გააჩნიათ მოსწავლეთა პოლიტიკური აღზრ-
დის, თითოეული მათგანის სახით ქვეით პოლიტიკური მებრძო-
ლის აღზრდის საქმეში.

ერთის მხრივ, ხშირად ყველგან და ყველაფერი როდი კეთილმიზანობისათვით პედაგოგიური კოლექტივების მიერ მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და პოლიტიკური სწავლების, პოლიტიკური განსწავლულობისათვის, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწავლების შემდგომი სრულყოფის, ისე ამ მიზნებისათვის სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ამოუწურავა აღმზრდელობით შესაძლებლობათა უფრო უნარიანი და ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით, ხოლო შეორეს მხრივ, ბევრ სკოლაში მინიმუმადეა დასმული თვით სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების დაინტერესება მოსწავლე-ახალგაზრდობის მრავალმხრივი პოლიტიკური ცოდნით შეიარაღების პრაქტიკული საკითხებით. ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ფორმალიზმის მიუხედავად, 1977—78 წლებში კომკავშირის ყოველ მეორე საქალაქო და რაიონულ კომიტეტს თავისი მსჯელობის საგნადან გაუხდია მოსწავლე-ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხები, ხოლო აღნიშნული პრობლემის ერთობლივი შესწავლითა და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, საერთოდ, არ დაინტერესებულან არც კომკავშირის კომიტეტები, არც განათლების ორგანოები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევებთან ერთად არის ისეთი ფაქტებიც, როდესაც ამ დისციპლინებში მაღალი ნიშნები ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და მოქმედების ასეთივე მაღალი პროცენტით. განსაკუთრებული მუშაობა არ ტარდება ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც ამჟღანებენ ნიჭილიზმს, გულგრილობას, ინდიფერენციზმს, ინერტულობას.

რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში ფორმალურად უკიდებიან მოსწავლე-ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის ამაღლების ისეთი საშუალებების უნარიანად გამოყენებას, როგორიცაა უფროს-კლასელთა თხზულებების საკავშირო კონკურსები, კომისიის მიზანით დიდების სასკოლო მუხლეუმები და კუთხები. მაგალითად, 2500 ასეთი მუხლეუმიდან 1100-ზე მეტი, ფაქტიურად, თორმალურად არსებობს, წლიდან წლამდე არ ხოება მათი ექსპონატების განახლება, მოსწავლეები არ მონაწილეობენ. საკავშირო ლაშქრობებში, არ სწავლობენ ექსპონატებს. იმასთანავე, დაბალია როგორც სკოლის კომკავშირის კომიტეტების, პიონერული რაზმეულებისა თუ რაზმების, ისე პედაგოგიური კოლექტივების მიერ ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების აომზრდელობით ზემოქმედების ეფექტები. განსაკუთრებით მწვავე შეფასებას იმსახურებენ თბილისს 50-ე, 67-ე, 126-ე საგარეჭოს მე-3, ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, პედაგოგიუ-

სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებებია მოსწავლეებში ცოდნის შეძენისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდის საქმეში. ამის უარყოფითი შედეგები სახეზეა 90 ათასზე მეტი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლის, 8547 მეორევლაციის, ყოველ წელს გაცდენილი საშუალოდ ერთი მილიონი აკადემიური საათის სახით. საშუალოზე სწავლობს რესპუბლიკის მოსწავლეთა დიდი ნურილი. აკადემიური მაჩვენებლების დაბალი ხარისხი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საჭირობოროტო საკითხებისადმი, მოსწავლეებში ცოდნისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდის პრაქტიკული ღონისძიებებისადმი სასკოლო კომეჯიშირული და პიონერული ორგანიზაციების მხრიდან ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევებთან ერთად, გარკვეულად იმაზეც მიუთითებს, რომ პედაგოგების ერთინაწილი ფორმალურად ეკიდება გაქვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებას, არ იზრდება. კომეჯიშირის კომიტეტები და სახალხო განათლების ორგანოები ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო მზრუნველობას მასწავლებლების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პედაგოგიური მეცნიერების კველაზე თანამედროვე მიღწევებით მათი შეიარაღებისათვის.

უკანასკნელი სამი წლის განძილებელ კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებისა და პლენუმების მიერ სასკოლო ცხოვრების შესახებ განხილული 2600 საკითხიდან თითოეული ყოველი მეორე არ ჰცილდა ცოცხალ, კონკრეტულ საქმედ, არ განმტკიცებულა კონკრეტული ღონისძიებებით, ფაქტიურად ქალალზე დარჩა. კომკავშირის ვანის, ბოგდანოვკის, ხობის, ყაზბეგის, ყვავლის, ზოგიერთი სხვა საქალაქო და რონული კომიტეტის საქმიანობა ამიტომაც ხასიათდება არაკომპეტენტურობით, დაბალი, ეფუძნებით მოსწავლე ახალგაზრდობასთან აომზრდელობით მუშაობაში.

სების, მისი პიროვნების პროპაგანდის, ზედაპირულად ეკიდებიან სკოლაში სწავლების პროცესში მოსწავლეებში შრომის პირველი პრატიკული ჩვევების გამომუშავების კონკრეტულ ორნისძიებებს, მთელი დაბეჭითებით არ იძრდვიან, ვერ აღწევენ ამ მიმართებით სა- შეფო ორგანიზაციების მრავალმხრივი შესაძლებლობების უნარია- ნად გამოყენებას. ნელი ტემპით იზრდება პროფორმენტაციის კაბი- ნეტებისა და კუთხეების ქსელი და საერთოდ სათანადოდ არ არის გამოყენებული ეს ფორმა. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდე- ბა მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების ორგანიზაციის, მათი სათანა- დო სამუშაო ფრონტითა და პირობებით უზრუნველყოფის საკითხე- ბრი ზაფხულის პერიოდში. ამიტომ არის, რომ ყოველწლიურად რეს- პუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 74 ათასი კურსდამ- თვრებულიდან თითქმის ნახევარი — 30 ათასი არ ფლობს შრომით ჩვევებს, ხოლო სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოსული 40 ათას- ზე მეტი კურსდამთავრებულიდან ყოველი მეორე ავლენს ძალზე და- ბალ შრომით აქტივობას, სისტემატურად იცვლის სამუშაო აღვილს. ძნელად ადაპტირდება შრომით კოლექტივში.

კომკავშირული ორგანიზაციები და განათლების ორგანოები არ მიმართავენ ქმედით ლონისძიებებს, რათა ღრმოულად და საბოლოოდ ფორმირებული ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინების შემთხვევე- ბი მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების საქმეში, და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ფორმა- ლურად ასრულებს კომკავშირულ და პიონერულ დავალებებს, ბევ- რი სკოლის სინამდვილეში უკვე სამწუხარო ტრდაციად დაკვირდ- და ფორმალური პიონერული ორგონი, ფორმალური პიონერული რაზმი, ფორმალური პიონერული შეკრება, ფორმალური კომკავში- რული კრება. როგორც თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, სამტრე- დის, წულუკიძის, სხვა რაიონებისა და ქალაქების სასკოლო კომკავ- შირული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, საკითხე- ბი მოსწავლეთა კომკავშირულ კრებებზე ძალზე ხშირად ფორმალუ- რად იხილება, მიღებული დადგენილებები არაკონკრეტული და არაფრისმთქმელია, როგორც წესი — არ ხდება მათი შესრულების ქონტროლი; სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები არ უბრუნ- იებიან კრებებზე წამოჭრილ მწვავე საკითხებს, არ ისმენენ კომკავ- შირულების, კომკავშირული აქტივისტების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მთელ რიგ შემთხვევაში კომკავში- რული კრებებისა თუ პიონერული შეკრებებისადმი ფორმალური, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ კომჭავშირული და პიონერული კლასების დამრიგებლების, კლასგარეშე და სკოლისგა- რეშე მუშაობის ორგანიზატორების, თვით სკოლების ღირებულე- ბი

ბის მხრიდან. რესპუბლიკის მასშტაბით თითზე ჩამოსათვლელია ისე-
 თი შემთხვევა, როდესაც კომკავშირული კრების მიერ წამოჭრილი
 საკითხი ხდება პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ლონისძიებები საერთოდ არ ტარ-
 დება, დოკუმენტების მიხედვით კი ყველაფერი რიგზეა; არა თითო-
 ოროლა ფაქტები, როდესაც ოქტომბრელის, პიონერის, კომკავშირე-
 ლის შესასრულებელ დავალებას უფროსები ისრულებენ, რითაც
 მოსწავლეები სასკოლო ცხოვრების წლებიდანვე ეჩვენიან ქაღალ-
 დომინიას, სიყალბეს, „დათვურ სამსახურს“.

სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეებთან ინდივიდუალური, დი-
 ფერების ირებული მუშაობის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდე-
 ბის უგულებელყოფის შედეგად, ფაქტიურად ყოველი მეოთხე მოს-
 წავლე კომკავშირული და ყოველი რვა პიონერი ათიდან მუდმივი
 დავალების გარეშეა დარჩენილი. რის გამოც სასკოლო კომკავშირუ-
 ლი და პიონერული ცხოვრების მთელი აქცენტი აქტივისტთა ვიწრო
 წრეზე გადადის.

ფორმალიზმის შემთხვევები მოზარდებში ზომიერ მოთხოვნილე-
 ბათა, სოციალისტური ცხოვრების წესის შესატყვის მოთხოვნილება-
 თა ფორმირებისათვის გაწეულ მუშაობაში დატურია იმ სერიოზუ-
 ლე ნაცოლვანებებისა, რომლებიც სახალხო განათლების ორგანოებს
 და კომკავშირის კომიტეტებს გააჩნიათ მოზარდი თაობის იდეურ-
 ზნეობრივი აზრიდის საქმეში. არასრულწლოვანთა დანაშაულის
 მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით,
 მათ შორის — მოზარდთა მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩა-
 დენის შემთხვევების მატება, ძნელადაღსაზრდელ მოზარდებთან მუ-
 შაობის ანალიზი. პირველ რიგში იმაზე შეტყველებს, რომ კრიტიკას
 ვერ უძლებს სკოლებში სოციალისტური ცხოვრების წესის პროპა-
 განდის მიზნით მიმდინარე მუშაობა, იგი მოსაწყები და უინტერესოა
 მოზარდებისათვის, სათანადო ემოციურ ზეგავლენას ვერ ახდენს მათ
 ფსიქიკას და ცნობიერებაზე.

მოსწავლეთა პოლიტიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი ფორმირე-
 ბისათვის სუსტადა გამოყენებული მუხეულები. თეატრები, სხვა
 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, თავისუფალი
 დროის გონივრული ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმები და
 მეთოდები, პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენება.

კომკავშირის კომიტეტები, განათლების ორგანოები ჯერ კიდევ
 არასათანადო ყურადღებას აქცევენ სკოლისგარეშე დაწესებულე-
 ბებს, არ ეხმალებიან მათ, არ რეაგირებენ იმაზე, რომ ბევრი სკოლის-
 გარეშე დაწესებულების მუშაობაში (მაგალითად ტყიბულის პიო-
 ნერთა და მოსწავლეთა სასახლე, ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა სად-
 გური, ყვარლის, გარდაბნის პიონერთა სახლი) რაოდენობრივი მაჩ-



ვენებლებისათვის გამოდევნების უკინა პლანზე გადასწია და დღიურული დილა ძთავარი — შუშაობის ხარისხი, მისი კონკრეტული შედეგები, უკუგება. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს იმ უყურადღებობის ძესახებ, რასაც სკოლისგარებები ბავშვთა დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განხტეკიცია და გაუტექობესების კონკრეტული საკითხებისადმი იჩენენ საბჭოთა და საბეურნეო ორგანოები, საძეფო ორგანიზაციები.

განათლების ორგანოებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მხრიდან არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქმედებათა პროფილ-აქტივის საჭირობოთო საკითხებისადმი ფორმალური დამკიდებულების სავალალო შედეგებზე, მის მასშტაბებზე მიუთითებს ქ. თბილისის ლენინის რაიონის მაგალითი — აქ უკანასკნელ პერიოდში სასჯელგადავადებულმა არასრულწლოვანმა რამდენიმე მოზარდვა განმეორებით ჩაიდინა დანაშაული.

არადამაყმაყოფილებელია მუშაობა ბავშვებთან, არასრულწლოვანებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რესპუბლიკაში ფუნქციონირებს მოზარდთა 70 კლუბი, რომლებშიც 3700 მოსწავლეა გერთიანებული, მაგრამ მათში ძნელადაღსახრდელ მოზარდთა ძალზე მცირე რაოდენობა — მხოლოდ 11,2 პროცენტია, და ეს მაშინ, როდესაც მრავალი ძნელადაღსახრდელი სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, პედაგოგიური კოლექტივების ზრუნვისა და უყურადღების გარეშეა დარჩენილი, განიცდის ქუჩის მაცნე ზე-გავლენას. მონაცემების მიხედვით, ყოველ ძნელადაღსახრდელ მოზარდზე მოდის 5—6 შეფი, სინამდვილეში კი მთელ რიგ შემთხვევებში მას აქვს ფორმალური ხასიათი.

განსაკუთრებით არასახარბიერო მდგომარეობაა სახლმართველობების პედაგოგ-ორგანიზატორების საქმიანობაში. ქ. თბილისის პედაგოგ-ორგანიზატორთა 26 პროცენტი თავისი სამუშაო ღროის მნიშვნელოვან ნაწილს არაპირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ანდომებს; პედაგოგ-ორგანიზატორთა 18 პროცენტი არა აქვს სპეციალური ოთახი, სახლმართველობების ბავშვთა ოთახების 19 პროცენტის საერთოდ არა აქვს ინვენტარი. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას ბევრი პედაგოგ-ორგანიზატორის პედაგოგიური საქმიანობა, და აი, ასეთ ღროის რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მხრიდან (სტრუქტურულად რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პედაგოგ-ორგანიზატორთა ინსტიტუტი) სათანადო რეაგირებისა და კონკრეტული ონბისძიებების განხორციელების გარეშე დარჩა რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ თვალსაზრისით დამული კონკრეტული საკითხები.

ხშირად ძალზე დაბალია არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების როლი ძნელადაღსახრდელ მოზარდთა სწორ გზაზე დაყენების

ბაში, მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია-
 ში, და ამის მაგალითია ხობისა და წალენჯიხის რაიონების ინსპექ-
 ციების (ინსპექტორები ა. სერგია და ზ. კვარაცხელია) პრაქტიკულად
 არაფრისმთქმელი მუშაობა.

კრიტიკას ვერ უძლებს ფორმალიზმი სკოლებისა და იმ ორგანიზა-
 ციების ერთობლივ მუშაობაში, რომლებიც ბორბებულნი არიან
 ალიოუჩინონ სკოლას კონკრეტული დახმარება.

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლები მთელი სისრულით ჯერ კიდევ
 ვერ იყენებენ სკოლისადმი შეფობის არსებულ შესაძლებლობებს,
 ხშირად აღებული საშეფო ვალდებულებების ფორმალური ფიქსა-
 ტორების როლში უფრო გამოიდან, ვიდრე ცოცხალი მუშაობის ორ-
 განიზატორებისა. ამ ბიბართულებით მუშაობის შევეთრად გარდაქმნა
 ძართებთ პირველ რიგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
 ტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტიკიზმური
 ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერი-
 ნალური, ფიზიულტერის სახელმწიფო ინსტიტუტების, სხვა უმაღ-
 ლესი სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და
 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია შეშფოთებას
 გამოთქვამენ, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ცალკეული მშობლების.
 მხრიდან თავისი შეილების აღზრდისადმი უპასუხისმგებლობა დამკი-
 დებულების შემთხვევებს, ხოლო კომკავშირული ორგანიზაციებისა
 და სახალხო განათლების ორგანოების ერთობლივ საქმიანობაში არ
 არის გამოკვეთილი მუშაობა მშობლებთან, განსაკუთრებით კი ახალ-
 გაზრდა მშობლებთან. განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა
 ბავშვების, მოზარდების, არასრულწლოვანების, მოსწავლე-ახალგაზ-
 რდობის აღზრდის საქმეში ოჯახის, მშობლის როლისა და პასუხის-
 მგებლობის ამაღლების საკითხებს, დიფერენცირებულად არ უდევ-
 ბიან მუშაობას ისეთ ოჯახებთან, სადაც ცველა პირობაა ბავშვთა აღ-
 ზრდისათვის და ისეთ ოჯახებთან, სადაც სხვადასხვა სახის სირთუ-
 ლეებია შექმნილი შვილების აღზრდის საქმეში. არ არის საქმიანი,
 მჭიდრო ურთიერთკონტაქტები შრომით კოლექტივებთან.

კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორ-
 განოების ერთობლივ აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ ხშირია
 ფიქსატორების, ფორმალიზმის გამოვლინების ფაქტები, მთელ რიგ
 შემთხვევებში ეს ურთიერთობა არ არის კონკრეტული, ეფექტური,
 და ამდენად, ასებით გავლენას ვერ ახდენს საქმის რეალურ მდგომა-
 რებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ერთობლივი საქმიანობის ისეთ
 მნიშვნელოვან უბანს, როგორიცაა მუშაობა კადრებთან, მუშაობა
 ადამიანებთან; იმის აუცილებლობას, რომ ძირეულად იქნას გარდაქ-
 მნილი და გაუმჯობესებული თვით აღმზრდელთა აღზრდა, მოხდეს



ქომეავშირული და პიონერული კალტების შერჩევისა და აღზრდის მიზანის სისტემატიზაცია.

სახელდობრ ამის შედეგია, რომ რესპუბლიკის კომეავშირის ცენტრალური კომიტეტის და განათლების სამინისტროს მიერ სკოლის დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში უფროს პიონერელმძღვანელად დამტკიცებული არ იქნა აღგილებიდან წარმოდგენილი 48, — ფაქტურად ყოველი მეხუთე კანდიდატურა. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ამ შიმართულებით კომეავშირის გარდაბნის, ზუგდიდის, ჩიხატაურის, წითელწყაროს, ხაშურის წალკის რაიონული კომიტეტები და განათლების შესაბამისი განცოცილებები.

ზემო აღნიშნული და მსგავსი შემთხვევები და გამოვლინებები აფერებენ და ამუხრუპებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის იდეურზნეობრივი ოვისებების, მოქალაქეობრივი მრწამსის ფორმირების პრაქტიკული საკითხების წარმატებით გადაწყვეტის, აქვეითებენ და ნაკლებად ეფექტურს ხდიან სკოლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ოჯახის, მთელი საზოგადოების აღმზრდელობით ფუნქციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღგენენ:

1. დაევალოს საქართველოს აღკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განცოცილებას, განათლების საქალაქო და რაიონულ განცოცილებებს, სკპ 25-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის, საკავშირო კომეავშირის მე-18 და საქართველოს კომეავშირის 31-ე ყრილობების, მასწავლებელთა საკავშირო და საქართველოს მასწავლებელთა მე-4 ყრილობების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამის ორგანიზაციებთან და ორგანობთან ერთობლივად, ყოველმხრივ შესწავლონ და სათანადო პრინციპული შეფასება მისცენ ბავშვების, მოზარდების, არასრულწლოვანების, ოქტომბრელების, პიონერების, კომეავშირლების აღზრდისა და განათლების, მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლების საქმეში ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინების ფაქტებს;

— ისეთ მდგომარეობას, როგორიც შექმნილია კომეავშირის ვანის რაიონულ კომიტეტში (რაიონმის პირველი მდივანი ე. კერძევაძე), ბოგდანოვების (ა. კურდოლლიანი), გეგეშქორის (დ. კილასონია). ყვარლის (კომეავშირის რაიონმის ყოფილი პირველი მდივანი ო. ორთავიძე), ყაზბეგის (ყოფილი პირველი მდივანი შ. ჩქარეული) და ზოგიერთ სხვა რაიონულ კომიტეტში, საღაც სასკოლო ცხოვრების მთე-



ლი რიგ საკითხებისადმი დამოკიდებულება სხვა არაფერია, თუ მარტინ მუშაობა მხოლოდ ფორმისათვის, არსებული ნაკლოვანების შიფუ- ჩექებისა და შექმნილი მდგომარეობის შელამაზებისათვის;

— ისეთ მდგომარეობას, როგორიც შექმნილია კომქავშირის გარ- დაბნის (რაიკომის პირველი მდივნი ი. ნოვორუზოვი), ზუგდიდის (რა- იკომის მდივანი მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის დარგში ზ. სვანია), წითელწყაროს (ი. ნატროშვილი), წალკის (ა. სამურგანო- ვი) რაიონულ კომიტეტებში, სახალხო განათლების გორის საქალაქო (გამგე ნ. კანიაშვილი), ოერჯოლის (გამგე ა. ჯაფარიძე), გეგეჭკო- რის (გამგე ა. ხუროძე) რაიონულ განყოფილებებში, სადაც როგორც პიონერული და კომქავშირული კადრებისა და აქტივის შერჩევის, სწავლებისა და განაწილების საქმეში, ისე პედაგოგიური კადრების კომპეტენტურობის ამაღლებისათვის ერთობლივ მუშაობაში ადგი- ლი აქვს ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს, თვალისახვევას, მოჩვე- ნებითი ეფექტებისათვის მუშაობას;

— ისეთ მდგომარეობას, როგორიცაა შექმნილი საგარეოს მე- სამე სამუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, პიონერული მუ- შავების, სასკოლო კომქავშირული დ პიონერული ორგანიზაციების (სკოლის დირექტორი გ. როსტიაშვილი, დირექტორს მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. გ. ორაპიშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ც. ბეჟანიშვილი), ქარელის რაიონის სოფ. აგარის (დირექტორი ბ. მიქელაძე, უფროსი პიონერხელმძღვა- ნელი მ. ყიფშიძე), გარდაბნის რაიონის სოფ. დიდი ლილოს (დირექ- ტორი ა. ქარცევაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ნუცუბიძე), ქალაქ თბილისის 50-ე (დირექტორი ზ. ზარდიაშვილი, თირექტორის მოადგილე მ. კობალეიშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. დო- ლონაძე), 126-ე (დირექტორი ს. ლეჟავა, დირექტორის მოადგილე ც. ბუნტური), რესპუბლიკის რიგ სხვა სკოლებში, სადაც აღმზრდე- ლობითი მუშაობის არსებითი ნაკლოვანებებისადმი იჩენენ ყოვლად დაუშვებელ და შეუწყნარებელ სიმშვიდეს, შემრიგებლობას, უპრინ- ციპობას, არაკომპეტენტურად, ზერელად და ზედაპირულად ხელ- მძღვანელობენ კომქავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს;

— ისეთ მდგომარეობას, როდესაც კომქავშირის კომიტეტები და სახალხო განათლების შესაბამისი ორგანოები ურიგდებიან მუშაობას სხვადასხვა სფეროში ფორმალიზმის შემთხვევებს, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად, მთელი პრინციპულობით არ იბრძვიან სასკო- ლო ცხოვრებაში ნებატიური მოყლენების წინააღმდეგ. ამასთან და- კარგშირებით და ამის გათვალისწინებით, - არადამაგმაყოფილებლად იქნას მიჩნეული კომქავშირის ახალციხის (რაიკომის ყოფილი პირვე- ლი მდივანი ზ. ბალიაშვილი), თელავის (მ. ოთარაშვილი), აქმეტის (ვ. გიგაური), ცხინვალის (ი. ფუხაევი) რაიონული კომიტეტებისა და

სახალხო განათლების შესაბამისი განყოფილებების ერთობლივი საქართველოს მიანობა.

2. საქართველოს ალკე საიონქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებამ, განათლების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციისა და რესპუბლიკის განათლების სისტემის შესაბამისმა რგოლება:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლე-ახალგაზრდობაში აქტიური პოლიტიკური შემძროლის თვისებების ფორმირების, პოლიტიკური განათლების, პოლიტიკური აღზრდის საკითხებს, იდეურ-ალტრდელობითი მუშაობის საქონის ფორმებისა და მეთოდების ეფექტურად გამოყენებას, როგორიცაა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მესწავლა, ლენინის შრომები ახალგაზრდობაზე, საუბრები კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის, ლენინური კომკავშირის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, შეხვედრები პარტიისა და ლენინური კომკავშირის ცეტერანებთან, პოლიტინფორმაციის საათები რევოლუციური დიდების ადგილებში, პოლიტიკური სიმღერების ზეიმები და ფესტივალები; აქტიურად ჩააბან ამ საქმიანობაში სკოლის ფართო კომკავშირული და პიონერული აქტივი, ახალგაზრდა პედაგოგები;

ბ) სისტემატურად, ყოველდღიურად, კონკრეტულად, საგნობრივად, დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიზგომით, შემოქმედებითად, მოწინავე გამოცდილების ფართო გამოყენებით იზრუნონ იმისათვის, რომ კომკავშირული ცხოვრება, პიონერული ცხოვრება, საერთო — სასკოლო ცხოვრება ყოველი მოსწავლისათვის იყოს საინტერესო, მიმზიდველი, ყოველი მათგანს კეთილი მისწაფებების, სურვილების, ინტერესთა სფეროს შესატყვისი, ისეთი, რომელიც ამომწურავ, მისთვის გასაგებ პასუხს აძლევს იმ უამრავ შეკითხვაზე, ყოველი ბავშვის, მოზარდის, არასრულწლოვანის აზროვნებაში რომ იბადება;

გ) მიაღწიონ იმას, რომ ყოველი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციისათვის, ყოველი კომკავშირული ჯგუფის, რაზმისა და რგოლისათვის, ყოველი რაზმეულისათვის არა სიტყვით, არმედ საქმით ნომერ პირველ კომკავშირულ და პიონერულ დავალებას წარმოადგენდეს ზრუნვა თითოეულ მოსწავლეში ცოდნის შეძენისაღმი შეგნებული დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რათა:

— ამხანაგური ურთიერთდახმარების უპირველესი საგანი იყოს ყოველი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე;

— კომკავშირული ჯგუფის, პიონერული რგოლის მწვავე რეაგი-

რების გარეშე არ რჩებოდეს არცერთი უმიზეზოდ გაცდენილი სა-
ათი;

— კომკავშირულ კრებებზე, პიონერულ შეკრებებზე სისტემატუ-
რად და რეგულარულად იხილებოდეს აკადემიური მოსწრებისა და
დისციპლინის საკითხები, კომკავშირლები და პიონერები თვითა-
გარიშით გამოდიოდნენ ამხანაგების წინაშე;

— სახელდობრ ცოდნის შეძენისაღმი შეგნებული დამოკიდებუ-
ლების აღზრდის კუთხით; თითოეული კომკავშირული ჯგუფი შე-
ფობდეს პიონერულ რაზმს, პიონერული რაზმი — ოქტომბრელთა
ვარსკვლავებს, მთელს ამ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღე-
ბდნენ ახალგაზრდა პედაგოგები;

— ამ მიზნებისათვის მაქსიმალური უკუგებით იქნას გამოყნებუ-
ლი მოსწავლეთა მცირე აკადემიები, სასკოლო გაერთიანებები, წრე-
ები, ოლიმპიადები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სხვა-
დასხვა ფორმები და მეთოდები;

დ) ძირეულად გარდაქმნან თავიანთი დამოკიდებულება მოსწავ-
ლეთა შრომითი აღზრდის, მათში შრომისაღმი კომუნისტური დამო-
კიობოლობების ჩვენების ჩანარგვის პრაქტიკული საკითხებისაღმი.
იზრუნონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და გაერთიანებების
აღმზრდელობითი ეფექტების ამაღლებისათვის, ყოველმხრივ განამ-
ტკიცონ საქმიანი კონტაქტები საშეფო საწარმოებთან, მათს კომკავ-
შირულ ორგანიზაციებთან; სისტემატური ხასიათი მისცენ ხუთწლე-
დის მოწინავე აღამიანებთან, შრომის ვეტერანებთან შეცველებს,
შრომითი დიდების საღამოებს; სასკოლო კომკავშირული და პიონე-
რული ორგანიზაციები აქტიურად ჩააბან მუშათა პროფესიების პრო-
პაგანოის საქმეში, სრულად და ყოველმხრივ გამოიყენონ ამ მიმარ-
თებით მათი შესაძლებლობანი:

ე) წინა პლანზე წამოსწონ მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტი-
ვობის ამაღლების პრაქტიკული ორნისძიებები, იზრუნონ იმისათვის,
რათა:

— არცერთი კომკავშირელი და პიონერი არ დარჩეს მუდმივი თუ
დროებითი კომკავშირული ან პიონერული დავალების გარეშე;

— სისტემატური ხსიათი მიეცეს კომკავშირლებისა და პიონერე-
ბის ანგარიშებას ამხანაგების წინაშე;

— სასკოლო კხოვრებაში განუხრელად მაღლდებოდეს კომკავ-
შირული კრების როლი და ავტორიტეტი მის მიერ განხილულ სა-
კითხთა აქტუალობის, მიღებული დადგენილების კონკრეტულობის,
მის შესრულებაზე ქმედითი კონტროლისა და მისი განუხრელი გან-
ხორციელებისათვის ორგანიზაციის თითოეული წევრის საქმიანი და-
ინტერესების გზით.

— გამორიცხონ ფორმალიზმის შემთხვევები, ოქტომბრელთა, პიონერთა, კომუნისტის რიგებში მიღებაში.

ვ) მთელ თავიანთ აღმზრდელობით საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალისტური წესის შესატყვის მოთხოვნილებათა აღზრდის საკითხებს, მოსწავლეებთან მუშაობაში ფართოდ დანერგონ საბჭოთა სინამდვილის უპირატესობათა პროპაგანდის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები; საუბრები და დისპუტები ჰქონდარიტ ცხოვრების ულ ღირებულებებზე, შეცვერები სახელოვან ადამიანებთან, ჩვენი ცხოვრების ეს შესანიშნავ პროპაგანდის ტებთან, კინოფილმებისა და წიგნების განხილვები, გულახდილი დიალოგები ეთიკასა და ესთეტიკაზე, საუბრები კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსზე, საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლოებზე — სსრ კაშირის ჰიმნზე, გერბზე, წითელ რევოლუციურ დროშაზე;

ზ) სისტემატურდ იზრუნონ სკოლადელი დაწესებულებების როლის ასამაღლებლად ბავშვთა სკოლისათვის მოშაობაში;

ო) ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისა და სამართლდარღვევათა თავიდან აცილებისათვის. ამ მიზნით უზრუნველყონ სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, პედაგოგიური კოლექტივების, სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების ყველაზე აქტიური მონაშილეობა ძნელად-აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობაში და სკოლისგარეთ, რათა:

— აღმოიფხორას გზასაცდენილ მოზარდებზე ფორმალური შეფინანსების შემთხვევები; — ყოველი სკოლის მიერორაიონი წარმოადგენდეს სასკოლო კომკავშირული და პიონერული მოქმედების ზონას მოზარდებთან მუშაობაში;

— კომკავშირული, პიონერული ყურადღებისა და ზეგავლენის გარეშე არ დარჩეს არცერთი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი;

— უმზრდელობითი მუშაობის ცენტრში მოექცეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში შენიშნული ყოველი მოზარდი, თთოეულ მათგანზე განხორციელდეს კომკავშირული ჯგუფის, პიონერული რაზმის კოლექტიური შეფონის პრინციპი;

ი) სისტემატურად სრულყონ კომკავშირული და პიონერული აქტივის სწავლება; სწავლების კეგმებსა და პრაქტიკულ ონბისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს; დაეხმარონ კომკავშირულ და პიონერულ აქტივისტებს ფორმალიზმის ასლისა და რაობის გარკვევაში, მისი აღმოთხვერის პრაქტიკული ონბისძიებების დასახვასა და განხორციელებაში; აქტივის სკოლების მეცადინეობებზე სისტემატურად მოისმინონ თვით აქტივისტების ანგარიშები გაშეულ მუშაობაზე, განა-

ზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება, ადგილებზე პრაქტიკული დახმარება გაუწიონ იმათ, ვინც დახმარებას საჭიროებს.

3. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ახალგაზრდა პედაგოგთა ოესპუბლიკურმა საბჭომ, ახალგაზრდა პედაგოგთა სიოლქო საქალქო, რაიონულმა საბჭოებმა, მასწავლებლთა კომფაშირულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა, გარდაქმნან ისე, რომ გამოირიცხოს ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინება ყოველი ახალგაზრდა პედაგოგის საქმიანობაში; თითოეული ახალგაზრდა პედაგოგი თვით იყოს ნიმუში პედაგოგისა, აქტიური მონაწილე სკოლის, რაიონის, ქალაქის, ოლქის, ოესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას, განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს ახესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად:

— მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა ცალკეულ პედაგოგთა კომპეტენტურობის ამაღლებისა და პედაგოგიური ოსტატობის სისტემა-ტური სრულყოფის, თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებით მისი შეითანაბრებისათვის; ამ მიხნებისათვის უფრო ეფექტურად გამოიყენონ მასწავლებელთა ატესტაცია;

— უზრუნველყონ სისტემატური ზრუნვა და სათანადო კონკრეტული ორნიშნების გატარება მასწავლებელთა საქმიანობაში. არა-ავტორიტეტულობის, ზერელობის, კომუვშირული და პიონერული მუშაობის არცოლინისა და ამ მუშაობით დაუინტერესებლობის შემთხვევების აღმოთხერისათვის;

— კომარშირის შესაბამის კომიტეტებთან ახალგაზრდა პედაგოგთა საბჭოებთან, მასწავლებელთა კომფაშირულ ორგანიზაციებთან ერთად დღენიაღმდეგ იზრუნონ ყოველი ახალგაზრდა პედაგოგის პედაგოგიურ კოლექტივში აღაპტიორების, მისთვის სათანადო პირობების შექმნისა და დახმარების გაწევის, უფროსი კოლეგების მხრიდან დამრიგებლობის ფართოდ დანერგვის, ყოველი ახალგაზრდა პედაგოგის ზროვის პერსპექტივის ზრუნვლყოფის საკითხებზე:

მთელს ზემოთ აღნიშნულ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ პრინციპით: „ყოველი აღმზრდელი პირველ რიგში თვითონ უნდა აღიზარდოს!“

5. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის არსებუბლივურმა საბჭომ, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა ოესპუბლიკურ სასახლესთან ერთად:

— შეიმუშაოს პიონერულ მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ

ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული რეკომენდაციები პიონერული აქტივისა და პიონერმუშაკებისათვის;

— 1979 წლის პერსპექტიულ გეგმებში გაითვალისწინოს სასკოლო კედლის გაზეთების რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარება;

— რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შესაბამის სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს პიონერთა სახლებისა და სასახლეების მუშაკთა შატავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორწლიანი პერსპექტიული გეგმები, რომლებშიც განსაკუთრებული აღგილი დათმობა პიონერულ მუშაობაში ფორმალიზმის ნებისმიერი გამოვლინების აღმოფხვრისათვის მუშაობის მკვეთრად გაძლიერების პრაქტიკულ საკითხებს.

6. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ახალგაზრდული პრობლემების შემსჭავლელ სამეცნიერო მეთოდურ რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად:

— შეიმუშაოს აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმისა და სხვა ნებისმიერი ნეგატიური გამოვლინების აღმოფხვრის მეცნიერული რეკომენდაციები; იზრუნოს სასკოლო ცხოვრებაში მათი დანერგვისათვის:

— თავის საქმიანობაში მეტი აღგილი დაუთმოს მშობელთა პედაგოგიზაციის აქტუალური საკითხების კვლევის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მშობლების, ახალგაზრდა ოჯახის პრობლემას;

— 1979-80 წლების თემატურ გეგმებში, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, გაითვალისწინოს რესპუბლიკური სამეცნიერო-პრესტიული კონფერენციების ჩატარება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა, ძნელად-აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობა და საზოგადოებრიობა.

7. საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახმარებელის ინსტიტუტმა:

— მასწავლებელთა დახმარებელის კურსების სასწავლო გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტულ საკითხებსა და ღონისძიებებს;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშაოს და თავის სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაკებისა და პედაგოგ-ორგანიზატორების პედაგოგიური ცოდნის ღონისძიების ღონისძიებები.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე:

— პიონერმუშაკთა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრე-

ბის მომზადების შესახებ რესპუბლიკის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ბაზაზე;

— აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის გამოვლინებისა და მის წანააღმდეგ ბრძოლის პედაგოგიური პრინციპების მეცნიერული შესწავლა-შემუშავების შესახებ სისტემის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკის კათედრებზე;

— მომავალ პედაგოგთა საგალდებულო პედაგოგიური პრაქტიკის შემოღების შესახებ II—III კურსებზე, როგორც სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში, ისე სახლმმართველო-ბებსა და პიონერულ ბანაკებში, სულ ცოტა არი თვით მაინც.

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინადადებების გათვალისწინებით, შეისწავლოს და შეიმუშაოს სამეცნიერო ინტელიგენციის ფართო ჩამდის კონკრეტული გზები მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პრობაგანდის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებისადმი კომპლექსური მიღვომის პრაქტიკული ონისძიებების განხორციელების საქმეში.

10. დაევალოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებს, და დაისვას საკითხი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რეგულორატების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე, სასკოლო ცხოვრებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საშეფო აქციების ყოველმხრივი მხარდაჭერისა და განვითარების შესახებ, როგორიცაა საკავშირო ლაშქრობა „საზოგადოებრიობის ლაშქრობა სკოლაში“, „კომკავშირი — სკოლა!... სტუდენტობა — სკოლა!“, „უმაღლესი — სკოლას, მოზარდებს!“, იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის თითოეული უმაღლესი სკოლის მიერ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ზოგადსაგანათლებლო სკოლებისადმი საქმიანი შეფობის არსებული შესაძლებლობები, აქტიურად იქნას ჩართული მოელს ამ მუშაობაში პროფესორ-მასწავლებელთა ფართო წრე, უმაღლესი სკოლის ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები.

11. დაისვას საკითხი რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, შემოქმედებითი კავშირების წინაშე მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში შემოქმედითი ინტლიგენციის მონაწილეობის მკვეთრად გააქტიურების შესახებ.

12. დაისვას საკითხი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წინაშე ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების, კოლეგურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მხრიდან სკოლებისადმი პრაქტიკული საშეფო დახმარების მკვეთრად გაუმჯობესების აუკილებლობის შესახებ; მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის სა-



ხელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი ისეთი ფორმალური დამოკიდებულების აღმოფხვრის შესახებ, როდესაც:

— სახეზე „მეხუთე შრომითი მეოთხედის“ დიდი აღმზრდელობითი ეფექტების გუთვალისწინებლობა, არამეურნეობრივი, პრინციპულად არასწორი დამოკიდებულება უფროსკლასელთა შრომითი რაზმების საქმიანობის ორგანიზაციისადმი ზაფხულის პერიოდში, რასაც აღგილი პქონდა ქობულეთის. რაიონის ალამბრისა და ჩაქვის, ხობის რაიონის ხიბულის, ზუგდიდის რაიონის ხეცერის, ყვარლის რაიონის ქინძმარაულის და ვანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში, საღაც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ უფროსკლასელთა მიღებას. ღროულად არ უზრუნველყოვს ისინი შესაბამისი სამუშაო ფრონტით, ვერ შეუქმნეს მათ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები;

— როდესაც რიგი სამრეწველო საწარმოები ფორმალურად ეკიდებიან მოზარდი თაობის შრომითი აღწრდის, მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავების ისეთ საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეთა სასწავლო საამქროები და კომბინატები, სხვადასხვა შრომითი გაერთიანებები. ამასთან დაკავშირებით ყოვლად შეუწყნარებელია თბილისის საგალანტერიო დას. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის, სოცუმის თეგზის კომბინატის, ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის, ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის, გორის რაიონის ბოშურის საბჭოთა მეურნეობის, ქობულეთის რაიონის აჭყვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის უმოქმედობა, როგორთაც თავი აარიღეს მოსწავლეთა სასწავლო სამქროებისა და საწარმოო ბრიგდების შექმნას:

— როდესაც ჩესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელები არავითარ დაინტერესებას არ იჩენენ სკოლებთან საშეფო კავშირების განმტკიცებისათვის, კონკრეტულად არ ეხმარებიან მათ როგორუ ამას აქვს აღგილი რუსთავის ქიმიური ქარხნისა და მეორე სამშენებლო სამმართველოს, ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის მხრიდან; როგორც გულგრილობასა და უპასუხისმგებლობასაც იჩენენ საშეფო ბავშვთა სახლების მოსწავლეთა მიმართ თბილისის ავეჯის კომბინატი „განთიადი“, „მაღლივმშენის“ პირველი საექსპლოატაციო უბანი, მაუდ-კამპოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, „ბორჯომის“ სამრეწველო-საწარმოო გაერთიანების ჩამომსხმელი ქარხანა, ლენინგრადის საბჭოთა მეურნეობა, ჭიათურის მე-8 ბინათმშენებლობის სამმართველო, — სწორედ მათი ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გულგრილი ჩაურევლობისა და უყურადღებობის ვითარებაშია თბილისის № 1, კოჭორის



№ 3, ასპინძის, ონისა და ზოგიერთი სხვა ბავშვთა სახლები, საქმიანი ნულ ბავშვთა სახლების მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის საქმეში არსებული უხეში დარღვევები, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები.

13. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე არასრულწლოვანებთან მუშაობაში კომკავშირული, განთლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებით მეტი დაინტერესების შესახებ.

14. დაისვას საკითხი რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინაშე პედაგოგ-ორგანიზატორთა ინსტიტუტის საქმიანობით საგნობრივი დაინტერესების, დახმარების, მათი სწავლისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული დაოსტატების პრაქტიკული საკითხების გადაჭრა-გაუმჯობესების შესახებ.

15. დაისვას საკითხი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამსართველოს, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგნულების წინაშე რესპუბლიკის სკოლებისადმი პიონერებისა და მოსწავლების საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტრადიციებზე აღზრდის, სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის მათი მომზადების საქმეში საშეფო დახმარების შემდგომი გაძლიერების შესახებ.

16. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კომკავშირული მოძრაობისა და პიონერული მოძრაობის საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები წინამდებარე დადგენილების შესრულებაში კონკრეტული წვლილის შესატანად.

17. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგზრდობის განყოფილებამ და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითმა სამსართველომ, შესაბამისი სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაონ ბავშვთა ოთახების, პედაგოგ-ორგანიზატორების, სკოლისგარეშე ბავშვთა დაწესებულებების მატერიალური ტექნიკური ბაზის განვითარების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შესაბამისი ერთობლივი წინადაღებების შესატანად.

18. დაევალოს საქართველოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას, განათლების საქალაქო, რაიონულ განყოფილებებს, და დაისვას საკითხი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული პრესის, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ



ბაჟუების, მოზარდების, არასრულწლოვანების, მოსწავლეების გაზრდობის აღზრდის საქმეში ოჯახის, მშობლების, მშობელთა კომიტეტების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ყოველ კოლექტივში ისეთი ატმოსფეროს, ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური კონიატის შექმნას, როდესაც კოლექტივის თითოეული წევრი თანამოსაქმეების წინაშე, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციის წინაშე გრძნობს პასუხისმგებლობას შეიღების აღზრდისათვის, მათი მოთხოვნილებების ფორმირებისა და მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

ჩატარდეს და გაშუქდეს ღონისძიებები კითხვაზე — „როგორი მშობელი ხარ შენ?“ — პასუხის გასაცემად, პროპაგანდა გაეწიოს საუკეთესო ოჯახებს, საუკეთესო მშობლებს — მათ, რომლებიც ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებზე ზრდიან შვილებს; მათ, ვისთვისაც ოჯახში შვილების აღზრდა ახალგაზრდობის სწორი პოლიტიკური აღზრდის, სწორი პოლიტიკური ორიენტაციის განუყოფელი ნაწილია.

19. დაევალოს „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოე გრუზიის“, „სახალხო განათლების“, „ნორჩი ლენინელის“, „სკოლა და ცხოვრების“ „ცისკრის“, „პიონერის“, „დილას“ რედაქციებს, საქონიველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ახალგაზრდულ და საბავშვო გადაცემათა მთავარ რედაქციებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წინამდებარე დადგენილებით გათვალისწინებულ საკითხებს, აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმისა და თვალის ახვევის, მოჩვნებითობის, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობის, ზერელობისა და ზედაპირულობის ყოველმხრივი გამოვლინებების, ბეჭროკრატიზმის ფაქტების მხილებასა და მწვავე კრიტიკას, ამ მიმართულებით ფართოდ გააშუქონ კომკავშირის კომიტეტებისა და სახალხო განათლების ორგანოების ერთობლივი მუშაობის საკითხები, განაზოგადონ, განავრცონ დადებითი გამოცდილება, აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის საჭირობორო საკითხებზე შემოილონ სპეციალური რუბრიკები და გვერდები, სისტემატური ხასიათი მისცენ მათ ბუბლიკაციის.

20. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს.

საქართველოს ალკაციის

საქართველოს სსრ განათლების

მ დ ი ვ ა ნ ი

შ. შარტავა

მ ი ნ ი ს ტ რ ი

მ. გინდლაძე

СОВМЕСТНОЕ ПОСТАНОВЛЕНИЕ БЮРО ЦК ЛКСМ
ГРУЗИИ И КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



О случаях формализма в воспитательной работе в общеобразовательных школах и мерах по решительному усилению борьбы за их искоренение

18 ноября 1978 года

ლეთა ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგების ანალიზმა თვალ-
ნისაღწეული გამოივლინა რესპუბლიკაში ბავშვთა სპორტის განვითარების
საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

სპარტაკიადაში არადამაყმაყოფილებლად გამოიდნენ კალათ-
ბურთელები, ხელბურთელები, ველოსიპედისტები, მოჭადრაკები,
ნიჩბოსნები, კლასიკური სტილით მოჭიდავეები, მოკრივეები და
მძლეოსანი გოგონები. ძალზე ცუდად იასპარეზა მოცურავეთა ნაკ-
რებმა გუნდმა, რამაც ძირითადად განაპირობა რესპუბლიკის მოსწავ-
ლეთა სპორტული კოლექტივის მიერ საბჭოთა კავშირის ხალხთა VII
საზაფხულო სპარტაკიადის ჩათვლაში მერვე ადგილის დაკავება.

საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე 360 მოსწავლე წარმოდ-

გენილი იყო მხოლოდ 27 ქალაქისა და რაიონიდან, მაშინ, როდესც რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონში არსებობს ბავშვთა-მონარდთა სასპორტო სკოლები და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ბავშვთა სპორტული ჯგუფები.

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სპორტკომიტეტებმა, ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა და უწყებებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა ღონებე.

ბავშვთა-მონარდთა სასპორტო სკოლებში დაბალ ღონებე მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სუსტად წარმოებს პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევა, მომზადება და წვრთნა თანამედროვე ფორმებითა და მეთოდებით. დღემდე მოუგარებელია მწვრთნელთა პროფესიული დაოსტატების ღონისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სპორტულ სკოლებში მაღალი თანრიგის სპორტსმენების აღზრდასა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად. სრულფასოვანი კანდიდატების მომზადებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთობლივმა გაფართოებულმა კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები ძიუ-დოში, ყრობატიკაში, ტყვიით სროლაში, თავისუფალ ჭიდაობაში, წყალში ხტომაში, ფეხბურთში, ფარიკაობაში, მხატვრულ და სპორტულ ტანვარგიშში, მძლეოსნობაში (ჭაბუკები), წყალბურთსა და ფრენბურთში ჩაითვალოს დამატაყოფილებლად. ნაკრები გუნდების გამოსვლა კალათბურთში ხელბურთში, ველოსპორტში, ცურვაში, ჭაღრაჭუში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში (გოგონები) და კლასიკურ ჭიდაობასა და კრივში შეფასდეს არადაცემაყოფილებლად.

აღინიშნოს, რომ ზემოხამოვლილ სპორტის სახეობებში არადამაყმაყოფილებელი გამოსვლის შედეგად საქართველოს სპორტულმა ფელებაციამ წააგო უზბექეთის სსრ სპორტულ კოლექტივთან 580, 31 ქულა, ხოლო ყაზახეთის სსრ სპორტულ კოლექტივთან 94,08 ქულა, რომლებიც შედიან სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩათვლაში.

2. შეიქმნას კომისია, რომელმაც რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციებთან ერთად, სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით, 1979 წლის 1 მარტიდე შეისწავლოს და ღრმა ანალიზი გაუკეთოს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგებს,

დასახოს სათანადო ოონისძიებები ნაკრები გუნდების მზადებაში არ სებული ნაკლვანებების აღმოსაფხვრელად. მთელი სიმკაცრით იმ-ს ჯელოს იმ მწვრთნელ-მასწავლებელთა მიმართ, რომლებმაც უკავშირ ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას და კონკრეტული ორგანიზაციული წინადაღებები წამოაყენოს განათლების სამინისტროში. შექმნას ყველა წინაპირობა მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წარმატებით მოსამზადებლად.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდურმა სამმართველომ გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლე-ასალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად შესრულებაზე. უზუნველყონ კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მასობრივად გაშლა, საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების მწვრთნელებს კონკრეტული რეკომენდაციებით, მოწინავეთა გამოცდილების განხოვადებით, თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური პუბლიკაციებით; გაამახვილონ ყურადღება მოსწავლე სპორტსმენებთან მომუშავე მწვრთნელთა კადრების სწორად შერჩევასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

4. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად განიხილონ სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგები, შეისწავლონ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების საქმიანობა და განახორციელონ კონკრეტული ოონისძიებები ბავშვთა სპორტში ასებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გაძლიერონ ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ისეთი ფორმითა და მეთოდებით ჩატარებაზე, რომ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა თითოეულ მოსწავლეს შინაგან მოთხოვნილებად გადაექცეს, ფიზიკური ვარჯიში მოსწავლის სკოლაში, სკოლის გარეთ და ოჯაში ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ჩვევა-თვისებად გახდეს.

5. განათლების სამინისტროს მომსახურების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ნომენკლატურის მიხედვით, დროულად უზრუნველყოს 1981 წლის XVI საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაცია საშეგიბრო, საწვრთნელი და საალლუმო ფორმებით.

6. მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე მოსწავლეებს, მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს დარჩეთ მუდმივ ხმა-

რებაში ბავშვთა-მოზარდთა უმაღლესი სპორტული ღაოსტატების რესპუბლიკური სკოლიდან და ბავშვთა-მოზარდთა მძღვანელისნობრივი რესპუბლიკური სკოლიდან მიღებული სპორტული ფორმა და სპორტული კოსტუმები.

7. მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიალაზე მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამურადე ნიშნით, განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სიგნლითა და ფასიანი საჩუქრებით მწვრთნელები და გუნდის უფროსები.

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე და ევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური ორგანიზაციისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე) და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდურ სამმართველოს (ამხ. დ. კაპცოვი).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

უ. ოგოლაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ს. ჯაბაშვილი

Министерство просвещения Грузинской ССР
Комитет по физической культуре и спорту

РЕШЕНИЕ ЗАСЕДАНИЯ ОБЪЕДИНЕННОЙ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об итогах участия сборных команд школьников Грузинской ССР в XV Всесоюзной спартакиаде учащихся

23 ноября 1978 года, № 13/163

С 6 сентября по 1 октября 1978 года в городах Ташкенте и Киеве проводились финальные соревнования по 21 виду спорта, предусмотренные программой XV Всесоюзной спартакиады школьников.

В общекомандном зачете спартакиады спортивный коллектив учащихся Грузии занял 6-ое место, завоевано 37 медалей: золотых — 12, серебренных — 15 и бронзовых — 10. Улучшены один Всесоюзный и 15 Республиканских рекордов. Сборная учащихся республики в спартакиаде, в основном, выступила удовлетворительно. Больших успехов достигла сборная команда дзюдоистов, которая за один день до окончания спартакиады обеспечила первое место и в личном зачете два золотых и три бронзовых медалей. Хорошие результаты показали акробаты, стрелки, борцы по вольному стилю, художественные и спортивные гимнасты, атлеты (юноши), ватерполисты и волейболисты. Медали, завоеванные в спартакиаде, как по численности, так и по качеству во многом пре-восходят медали, завоеванные школьниками на прежней спартакиаде, что бесспорно свидетельствует об улучшении физкультурно-спортивной работы среди учащихся республики.

Вместе с тем, анализ результатов сборных команд ярко выявил недостатки, имеющиеся в деле развития детского спорта в республике.

В спартакиаде неудовлетворительно выступили баскетболисты, волейболисты, велосипедисты, шахматисты, гребцы, борцы по классическому стилю, боксеры и девушки-атлетистки. Весьма плохо состязалась сборная команда плавцов, что, в основном, обусловило восьмое место спортивному коллективу учащихся республики в зачете VII летней спартакиады народов СССР.

360 участников Всесоюзной спартакиады представлены

были только из 27 городов и районов республики, тогда как во всех городах и районах республики имеются детско-юношеские спортивные школы и детские спортивные группы добровольных спортивных обществ.

Местные органы народного образования, спорткомитеты, добровольные спортивные общества и ведомства все еще не смогли перестроить среди учащихся физкультурную и спортивную работу на уровень современных требований.

В детско-юношеских спортивных школах учебно-тренировочный процесс проходит на низком уровне, слабо происходит подбор, подготовка и тренировка перспективных спортсменов по современным формам и методам, по сегодняшний день не упорядочено дело повышения уровня профессионального мастерства и квалификации тренеров, что в определенной мере препятствует воспитанию высокоразрядных спортсменов в спортивных школах и подготовку достойных кандидатов для укомплектования сборных команд республики по разным видам спорта.

Совместная расширенная коллегия Министерства просвещения Грузинской ССР и Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР решает:

1. Считать удовлетворительным итоги сборных команд Грузии в XV Всесоюзной спартакиаде учащихся по дзю-до, акробатике, стрельбе, вольной борьбе, прижкам в воду, футболу, фехтованию, художественной и спортивной гимнастике, легкой атлетике (юноши), водному полю и волейболу. Считать неудовлетворительным выступление сборных команд по баскетболу, ручному мячу, велоспорту, плаванию, шахматам, гребле, легкой атлетике (девушки).

Отметить, что в результате неудовлетворительного выступления по вышеперечисленным видам спорта спортивная делегация Грузии проиграла спортивному коллективу Узбекской ССР 580,31 очков, а спортивному коллективу Казахской ССР 94,08 очка, которые входят в зачет VII спартакиады народов СССР.

2. Создать комиссию, которой совместно со спортивными федерациями республики, по отдельным видам спорта до 1 марта 1979 года изучить и дать глубокий анализ итогов участия сборных команд школьников Грузии в XV Всесоюзной спартакиаде учащихся; наметить соответствующие ме-

ро приятия по искоренению недостатков, имеющихся в деле подготовки сборных команд. Со всей строгостью обсудить вопрос в отношении тех тренеров-учителей, которые не смогли выполнить возложенные на них обязанности и представить в Министерство просвещения конкретные организационные предложения. Создать все предпосылки для успешной подготовки сборных команд учащихся.

3. Управлению физического воспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР и Спортивно-методическому управлению спорткомитета Грузии усилить руководство и контроль за неуклонным выполнением постановлений партии и правительства о физическом воспитании учащихся, обеспечить массовое развертывание внешкольной физкультурно-спортивной и оздоровительной работы, оказывать необходимую помощь тренерам детско-юношеских спортивных школ в конкретных рекомендациях, обобщении передового опыта, современными организационно-методическими публикациями; заострить внимание на правильном подборе тренерских кадров, работающих с учащимися-спортсменами и повышение их квалификации.

4. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов совместно с областным, городским и районными физкультурными комитетами рассмотреть итоги участия в спартакиаде, изучить деятельность детско-юношеских спортивных школ и осуществить конкретные мероприятия по искоренению недостатков, имеющихся в детском спорте. Усилить внимание за проведением в общеобразовательных школах уроков физического воспитания по такой форме и методам, чтобы занятия по физкультуре и спорту стали внутренней потребностью каждого ученика, а физическая гимнастика одной из основных навыков особенностей жизни ученика в школе, вне школы и семье.

5. Главному Управлению снабжения Министерства просвещения (тов. О. Кереселидзе) по представленным Управлением физического воспитания и спорта заявкам своевременно обеспечить спортивную делегацию Грузии, принимавшую участие в XVI Всесоюзной спартакиаде школьников 1981 года тренировочными костюмами и парадной формой.

6. Участникам, тренерам и руководителям сборных команд школьников республики, участвующих в XV Всесоюзной

спартакиаде школьников оставить на постоянное пользование, полученные от Республиканской детско-юношеской школы высшего спортивного мастерства и Республиканской детско-юношеской легкоатлетической спортивной школы спортивную форму и спортивные костюмы.

7. За успехи, достигнутые в XV Всесоюзной спартакиаде школьников наградить тренеров и начальников команд на грудным знаком «Огличник народного образования», а также грамотами и ценными подарками Министерства просвещения и Спорткомитета Грузинской ССР.

8. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление физического воспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Д. Квиникадзе) и Спортивно-методическое управление спорткомитета Грузии (тов. Д. Капцов).

Зам. Министра
просвещения ГССР
УШ. ОБОЛАДЗЕ

Зам. Председателя комитета
по физической культуре и
спорту при Совете Министров
Грузинской ССР
С. ДЖАИАНИ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1978 წლის 6 დეკემბრის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს
კომუნიკაციების
სამინისტრო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლონ სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისათვის სახელწოდების შეცვლისა და დებულების დამტკიცების შესახებ

კოლეგიაშ გადაწყვიტა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 თებერვლის № 139 განკარგულების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლონ სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი იწოდებოდეს სამინისტროს კადრების ატესტაციის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტად.

2. ღამტკიცდეს კადრების ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დებულება (თან ერთვის).

მ ი ნ ი ს ტ რ ი

ო. ჩიხლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების ატესტაციის
ტროს კოლეგიის 1978 წლის 6 დეკემბ-
რის გადაწყვეტილებით;

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების ატესტაციის
რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა-


I. საერთო დებულებანი

1. კალტების ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს განათლების სამინისტროს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამსართველოს და მუშაობს მისი ხელ-მძღვანელობით.
2. მეთოდური კაბინეტი მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმით.
3. მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა კალტების ატესტაციის მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრს. იგი აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს უწევს მეთოდურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მას-წავლებელთა ატესტაციის ჩატარების საქმეში.

4. მეთოდური კაბინეტი საქმიან კავშირს ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და თელავის ინსტიტუტებთან, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების მეთოდურ კაბინეტებთან კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მოწინავე გამოცდილებათა განზოგადების, პედაგოგიური დაოსტატების ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

II. მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

1. მეთოდური კაბინეტი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და სახალხო განათლების, ადგილობრივ ორგანოებს უწევს მეთოდურ დახმარებას და აძლევს სათანადო მითითებებს ატესტაციის ზაღალ დონეზე ჩატარებისათვის.
2. ამოწმებს და ამუშავებს მასწავლებელთა ატესტაციის მუშა



ჭგუფების მიერ წარმოდგენილ მასალებს (გარდა აფხაზეთისა და აჭარისა სასრ, საქართველოს ა/ოლქისა და ქ. თბილისის) ამზადებს სამარტინო ატესტაციო კომისიაზე განსახილველად.

3. მეთოდური კაბინეტი მასშავლებელთა ატესტაციის მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად აწყობს საქართველო და სარაიონო თათბირ-სემინარებს და მოწინავე გამოცდილების ამსახველი მასალების გამოფენას.

ბეჭდავს და სახალხო განათლების აღგილობრივ ორგანოებს უგზავნის ატესტაციისათვის საჭირო მასალებს (საატესტაციო ფურცლებს, ოქმებს და სხვ.) და მეთოდურ ინსტრუქციებს.

4. მასშავლებელთა ატესტაციის მიმდინარეობის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში განსახილველად უდგენს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

5. აწარმოებს იმ მასშავლებელთა აღრიცხვას, რომლებმაც ატესტაციის შედეგად დაიმსახურეს წახალისება, მათ შორის „უფროსი მასშავლებლისა და „მასშავლებელ მეთოდისტის“ და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

6. მეთოდურ რეკომენდაციებს უწევს სახალხო განათლების აღგილობრივ ორგანოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასშავლებელთა და სხვა მუშაქთა სასშავლო დატვირთვის ინსტრუქციის შესაბამისად განსაზღვრისა და დადგენისათვის.

7. ორგანიზაციას უკეთებს ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საჭმეს. ამ მიზნით მჭიდრო კონტაქტს ამყარებს პედაგოგიურ და მასშავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტებთან, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო, რაიონულ განყოფილებებთან.

8. მეთოდისტები მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით ბარათს წარუდგენენ მეთოდების დირექტორს.

9. დირექტორი მეთოდური კაბინეტის მუშაობის თაობაზე წლიურ ანგარიშს წარუდგენს განათლების სამინისტროს კადრების სამართველოს.

III. მეთოდებინეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

1. კადრების ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდებინეტის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და იგი შედგება დირექტორის, მეთოდისტების, ბუღალტრის (ნახევარი) საქმისმწარმოებლისა და დამლაგებლისაგან (თითო საშტატო ერთეული).

2. მეთოდებინეტის ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც შეირჩევა სახალხო განათლების დარგში მომუშავე სათანადო გამოც-

დილების მქონე მუშაკებისაგან და ბრძანებით ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

3. მეთოდისტები შეიძლებან სკოლის მოწინავე, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მუშაკთაგან, რომელთაც აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობის გამოცდილება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლები 5 წლისა.

კაბინეტის მეთოდისტებს ბრძანებით ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. მეთოდისტინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა და ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ.

5. მეთოდისტებს უფლება აქვთ იქნიონ სასწავლო დატვირთვა სკოლებში, მაგრამ არაუმეტეს 240 საათისა სასწავლო წლის განმავლობაში.

6. კადრების ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დარექტორს ევალება:

ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმართველობის საფუძველზე;

ბ) კაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესრულება;

გ) დახმარება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებზე და სკოლებზე კადრების ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებულად ჩატარებაში;

დ) ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის განხორციელება მეთოდკაბინეტის თანამშრომელთა მუშაობისადმის;

ე) წლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ვ) ფულადი სახსრების ხარჯვა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ზ) კაბინეტის ბუღალტრის, საქმისმწარმოებლისა და დამლაგებლის სამუშაოზე დანიშვნა და გათავისუფლება.

7. მეთოდკაბინეტის დირექტორი, მეთოდისტები და სხვა თანამრომები სარგებლობენ შეებულებებით და იმ შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდური კაბინეტებისათვის.

IV. მეთოდკაბინეტის უფლება-მოვალეობანი

1. კადრების ატესტაციის მეთოდკაბინეტი მუშაობის სათანადო პირობებს უქმნის, როგორც მასში მომუშავე მეთოდისტებს, ისე სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებიდან მეთოდური დახმარების მისალებად მოსულ მუშაქებს.

2. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

კადრების სამართლებო

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об изменении наименования Республиканскому методкабинету аттестации учителей общеобразовательных школ Министерства просвещения Грузинской ССР и утверждении Положения о нем

6 декабря 1978 года

Коллегия решает:

1. В соответствии с распоряжением Совета Министров Грузинской ССР от 23 февраля 1977 года за № 139 именовать Республиканский методический кабинет аттестации учителей общеобразовательных школ Республиканским методическим кабинетом аттестации кадров Министерства просвещения Грузинской ССР.

2. Утвердить Положение о Республиканском методическом кабинете аттестации кадров (прилагается).

Министр

О. КИНКЛАДЗЕ

Утверждено решением колле-
гии Министерства просвещения
Грузинской ССР от 6 декабря
1978 года

ПОЛОЖЕНИЕ

О РЕСПУБЛИКАНСКОМ МЕТОДИЧЕСКОМ КАБИНЕТЕ АТТЕСТАЦИИ КАДРОВ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

1. Общие положения

1. Республиканский методический кабинет аттестации кадров является методическим учреждением Министерства просвещения, непосредственно подчиняющимся Управлению кадров Министерства просвещения Грузинской ССР и работающим под его руководством.

2. Методический кабинет осуществляет свою деятельность по годовому и квартальному планам работы, утвержденными Министерством просвещения.

3. Методический кабинет является центром методического руководства аттестации кадров учреждений системы Министерства просвещения Грузинской ССР. Он осуществляет методическое руководство Министерствами просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики в деле проведения аттестации учителей и оказывает им методическую помощь.

4. Методический кабинет устанавливает деловые контакты с Центральным, Тбилисским, Кутаисским, Сухумским, Цхинвальским и Телавским институтами усовершенствования учителей, городскими и районными методическими кабинетами с целью повышения квалификации педагогических кадров, обобщения и распространения передового опыта.

II. Содержание и основные формы работы

1. Методический кабинет оказывает методическую помощь общеобразовательным школам и местным органам народного образования республики и дает им соответствующие указания для проведения аттестации на высоком уровне.

2. Проверяет и обрабатывает материалы, представленные

рабочими группами аттестации учителей (кроме Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинской АО), и готовит их для рассмотрения на аттестационной комиссии.

3. С целью обобщения передового опыта аттестации учителей периодически проводят городские и районные совещания- семинары и выставку материалов, отражающих передовой опыт.

Издаёт и рассыпает местным органам народного образования необходимые для аттестации материалы (аттестационные листы, протоколы и др.) и методические инструкции.

4. В случае необходимости представляет Министерству просвещения для рассмотрения коллегией итоги аттестации учителей.

5. Ведет учет учителей, получивших по итогам аттестации поощрение или звание «Старшего учителя» и «Учителя-методиста» и выдает им соответствующие удостоверения.

6. В соответствии с инструкцией дает методические рекомендации местным органам народного образования по определению и установлению учебной нагрузки учителей общеобразовательных школ и других работников.

7. Осуществляет организацию повышения квалификации руководящих кадров. С этой целью устанавливает тесные контакты с Педагогическим институтом и Центральным институтом усовершенствования учителей, министерствами просвещения АССР, отделами народного образования АО, городов и районов.

8. Методисты методкабинета аттестации кадров Министерства просвещения представляют директору докладные о проделанной ими работе.

9. Директор методкабинета представляет Управлению кадров Министерства просвещения годовой отчет о проделанной методкабинетом работе.

Штаты и смета методкабинета

1. Штат Республиканского методкабинета аттестации кадров в составе директора, методистов, бухгалтера (полштата), делопроизводителя и уборщицы (по одной штатной единице) утверждает Министерство просвещения Грузинской ССР.

2. Деятельностью методкабинета руководит директор, который подбирается из работников народного образования, имеющих соответствующий опыт, и назначается приказом Министерства просвещения Грузинской ССР.

3. Методисты кабинета подбираются из числа передовых работников школ, имеющих высшее педагогическое образование, соответствующий опыт работы в общеобразовательных школах и педагогический стаж не менее 5-ти лет и назначаются приказом Министерства просвещения Грузинской ССР.

4. Методкабинет находится на государственном бюджете, имеет свою смету и финансируется Министерством просвещения.

5. Методисты имеют право на учебную нагрузку в школах, но не более 240 часов за учебный год.

6. Директор Республиканского методкабинета аттестации кадров обязан:

а) руководить всей деятельностью кабинета по принципу единонаучания;

б) планировать педагогическую-методическую и материально-финансовую работу кабинета и выполнять план работы, утвержденный Министерством просвещения;

в) оказывать помощь местным органам народного образования и школам в организованном проведении аттестации кадров и повышении квалификации;

г) осуществлять руководство, помочь и контроль за работой сотрудников методкабинета;

д) представлять в конце года в Управление кадров Министерства просвещения отчеты о проделанной работе;

е) расходовать денежные средства в пределах утвержденной Министерством сметы;

ё) назначать и освобождать с работы бухгалтера, делопроизводителя и уборщицу кабинета.

7. Директор, методисты и другие сотрудники методкабинета пользуются отпускными и льготами, которые предусмотрены для других кабинетов, входящих в систему Министерства.

IV. Права и обязанности методкабинета

1. Методкабинет аттестации кадров создает надлежащие условия как для сотрудников методкабинета, так и для работников местных органов народного образования, которые могут получить здесь квалифицированную помощь.

2. Методкабинет пользуется правом юридического лица, имеет печать и штамп с соответствующей надписью.

Управление кадров

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
და საქართველოს სსრ სატურ ეფურნობის
სამინისტროს პოლეგიიზის
1978 წლის 30 ნოემბრის 6 დღემზრის

გ ა დ ა წ უ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი 2—30/14

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში,
სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სასკოლო
სატყეოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძი-
ძიებათა შესახებ

სკვპ ცენტრალურა კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დეკემბრის დადგენილებაშ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი პომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ რესპუბლიკის სკოლები მრავალი პრაქტიკული ობოւლის წინაშე დააყენა. მათ შორის უდიდესი როლი დაეკისრა ბუნების შესწავლისა და დაცვის გაუმჯობესების საკითხებს. ამ ამოცენის გადაჭრის საქმეში სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის სხვა ღონისძიებებთან ერთად შემდგომი დადგენილებით, რომელშიც ნათქვამია: „მოსწავლეასალგაზრდობაში ბუნებრივი ტყის სიმდიდრეთა მნიშვნელობის პროპაგანდის, მოზარდ თაობაში მშობლიური ბუნების პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის დანერგვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს აღკვეთის ცენტრალურმა კომიტეტმა ფართოდ გაშალონ მუშაობა „სასკოლო სატყეოების“ შესაქმნელად, აქტიურად ჩააბან მათ საქმიანობაში მოსწავლე ახალგაზრდობა“.

დადგენილების შესაბამისად სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის სატყეო მეურნეობებმა და განათლების ვანკოფილებებმა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების დახმარებით გარკვეული მუშაობა გასწიეს ადგილებზე „სასკოლო სატყეოების“ შექმნის, მათში მოსწავლეთა მაქსიმალურად ჩაბმის, ახალგაზრდობაში კომუნისტური სულისკვეთების, დადებითი ემოციების, ჰუმანიზმის, მშობლიური მხარის. სამშობლოს სიყვარულის დანერგვისა და მისი შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამის ნათელი დაღასტურებაა ის, რომ სატყეო მეურნეობისა და განათლების სამინისტროების მიერ ამ ბოლო ღროს გატარებული

ლონისძიებების შედეგად, რესპუბლიკაში დღეისათვის შექმნილია „სასკოლო სატყეოები“ 587 საშუალო, რვაწლიან სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში, რომლებშიც გაერთიანებულია 49 ოთაშე მეტი მოსწავლე. „სასკოლო სატყეოებში“ გაერთიანებულმა მოსწავლეებმა დასაცავად გაიპიროვნეს 29 ოთაში ჰექტარი ტყე, ითავეს 3976 ჰექტარ ფართობზე გაშენებულ ტყის კულტურებში მოვლითი სამუშაოების ჩატარება, 82 ჰექტარზე სანერგების გაშენება და სხვა. ოუკი 1975—76—77 წლებში მთ მიერ შესრულებული იყო შესაბამისად 14—15 ოთაში მანეთის ლირებულების სამუშაოები, 1978 წლის მარტო 8 ოვეში „სასკოლო სატყეოებში“ გაერთიანებული მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ შესრულებულია 82,7 ოთას მანეთამდე ლირებულების სამუშაოები, რაც რამდენიმე ათეული ათასი მანეთით მეტია გასულ წლებში შესრულებული სამუშაოების ლირებულებაზე.

„სასკოლო სატყეოების“ შექმნასა და მასში მოსწავლე ახალგაზრდობის მაქსიმალურად ჩაბმის საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობისა და განათლების სამინისტროებმა და მათმა ადგილორევიმა ორგანიზაციებმა: ქ. ქუთაისის, ა. ტყიბოლის, ბოლნისის, გასპის, ორჯონიქიძის, ვანის, ონის, ადგინის, თეთრი წყაროს, მახარაძის, მცხეთის, დუშეთის, თელავისა და ამბროლაურის რაიონების განათლების განყოფილებებმა და სატყეო მეურნეობებმა.

„სასკოლო სატყეოების“ შექმნასა და მასალების წარმოდგენის შესახებ დღემდე არ უზრუნვიათ აღხსაზეთის ასსრ განათლებისა და საბუნო მეურნეობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას და სატყეო მეურნეობის სამმართველოს, ქ. თბილისის. ახმეტის, გორის, გურჯაანის, ყაზარლის, მესტიის, საგარეჯოს, სიონალის, ხაშურის. წაოკის რაიონების განათლების განყოფილებებსა და სატყეო მეურნეობებს. ზოგიერთი სატყეო მეურნეობები თაღი დაგვიანებით ან სრულიად არ აგზავნიან მოთხოვნილ ანგარიშებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა რესპონტიკაში გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს „სასკოლო სატყეოების“ ქსელი, საბოლოოდ დაიხვდის და დადგინდეს აღრე მიღებული დებოლუბა „სასკოლო სტყეოების“ შექმნისა და მათი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“.

რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისარეშე რა სხვა საბაზო დაწესებულებებში „სასკოლო სატყეოების“ მუშაობის შემოვარი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებულმა კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი „სასკოლო სატყეოების“ დებუ-

ლების პროექტი რომელიც შეთანხმებულია საქართველოს პლკდ
 და განვითარების კომიტეტთან.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-
 რეთ ასეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქების გა-
 ნათლების განყოფილებათა გამეცება:

2. 1. მოამზადონ სათანადო პირობები 1978—1979 სასწავლო
 წლისათვის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე და
 სხვა საბავშვო დაწესებულებებში „სასკოლო სატყეოების“ მუშაობის
 შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მათი მუშაობა წარმართონ დამტკი-
 ცებული დებულების მიხედვით და საქართველოს სსრ განათლების
 სამინისტროსა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო
 კომიტეტის კოლეგიების 1976 წლის 10 ივნისის ერთობლივი დად-
 გენილებით. — „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა
 და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების
 გაუმჯობესების შესახებ“. ამასთან, განათლების სამინისტროს კოლე-
 გიისა და განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საკითხი, თუ
 როგორ სრულდება დებულებით და დადგენილებით გათვალისწინე-
 ბული ღონისძიებები და ნაკლოვანებათა გამოვლინების შემთხვევაში,
 მიიღონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზ-
 ნით:

2. 2. იმ რაიონებისა და ქალაქების სკოლებში, სკოლა-ინტერნა-
 ტებში, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, სადაც
 დღემდე არ არის შექმნილი „სასკოლო სატყეოები“, 1978 წლის 15
 დეკემბრამდე დაამთავრონ მათი ჩამოყალიბება და სასწავლო-აღმზრ-
 დელობითი მუშაობის გეგმაში გაითვალისწინონ მათი მუშაობის აქ-
 ტივიზაციის საკითხები. ხოლო იქ, სადაც „სასკოლო სატყეოების“ ჩა-
 მოყალიბება მიზანშეუწონელია თავიანთი დასკვნა წარმოუდგინონ
 განათლების სამინისტროს;

2. 3. „სასკოლო სატყეოების“ მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარ-
 სის საკითხებზე დახმარებისათვის სისტემატიკური კვშირი დამყა-
 რონ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლი-
 კურ, საოლქო და რაიონულ-საქალაქო სადგურებთან;

2. 4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-
 ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 მაისის № 312 დადგენი-
 ლების შესაბამისად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს
 ტყეების რესპუბლიკურ დათვალიერებაში;

2. 5. ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლების, სატყეო მე-
 ურნეობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მეშვეობით
 მოსახლეობაში და მოსწავლეებთან პერიოდულად ჩატარონ ლექ-
 ცია-საუბრები ტყეებისა და ფაუნის დაცვისა და მისი მნიშვნელო-
 ბის შესახებ, შთაუნერგონ თითოეულ მოსწავლეს ტყისა და ფაუნი-

სადმი სიყვარული და ჩაბან ისინი ბუნების დაცვისა და ტექნიკური სურსების გამრავლების საქმეში;

2. 6. მთაწყონ სკოლებში ბუნების დაცვის ამსახველი სპეციალური კუთხები, შემოილონ წითელი წიგნი და შეიტანონ მასში რესპუბლიკის, ოლქის, რაიონისათვის დამახასიათებელ მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ენდემური და გადაშენების გზაზე მდგარი ეგზემპლარები. გაძლიერონ ყურადღება ბუნების ძეგლების გამოვლენასა და აღრიცხვა-დაცვაზე;

2. 7. სკოლების „სამუშაო გეგმებში გაითავლისწინონ „ტყის დღის“, „ფრინველის დღის“ ჩატარებისა და შედეგების განზოგადების საკითხები;

2. 8. „სასკოლო სატყეოების“ მიერ გაშეული საქმიანობის შეჯამება და აგრეთვე მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება მთაწყონ მოსწავლეთა საწარმონ ბრიგადების, ბუნების ნორჩი მეგობრებისა და ნორჩი ნატურალისტების რაიონულ, ზონალურ და რესპუბლიკურ შეკრებებზე!

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო სატყეო მეურნეობის სამმართველომ, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ, სატყეო ინსტიტუტმა, სატყეო სახელმწიფო სანერგემ, ტყეპარქმა, საგურამოს ეროვნულმა პარკმა და თბილისის დენდროპარქმა:

3. 1. სატყეო სახელმწიფო სანერგისა და პარკების ძალებით მოახდინონ ცალკეული უბნების გაპიროვნება სკოლებზე;

3. 2. გაუწიონ მეთოდურ-ინსტრუქციული დახმარება სასკოლო სატყეოებს და განათლების განყოფილებასთან ერთად დააწესონ სათანადო კონტროლი მათ საქმიანობაზე.

3. 3. განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინონ „სასკოლო სატყეოების“ იმ წევრების მიმართ, რომლებიც რაიმე ღონისძიების გასატარებლად დასაქმებული იქნებიან მეურნეობებში;

3. 4. აქტიური მონაწილეობა მიიღონ „სასკოლო სატყეოების“ სარაიონო და რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარებაში.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამ. მ. ოჩიგავა) საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეების კეთილმოწყობისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის განყოფილებამ (ამ. ვ. ჩიქოვანი):

4. 1. 1978 წლის ბოლომდე წარმოადგინონ სამკურდე ნიშნის „საქართველოს სსრ ტყეების დაცვისა და გამრავლებისათვის“ ესკიზის ნიმუში;

4. 2. წარმოადგინონ წინადადებები საუკეთესო მეტყევის, მოს-

წავლეთა საუკეთესო ბრიგადებისა და ბუნების ნორჩი მეგობრის
საზოგადოების მოწინავეთა საპატიო წიგნის შემოღებისა და მისი
წარმოების წესის შესახებ.



5. საგეგმო-საფინანსო განყოფილებებმა (ა. კვაჭაძე და ვ. ზედ-
გენიძე) 1979 წლის ბიუგეტში გაითვალისწინონ ასიგნობანი სასკო-
ლო სატყეოების წევრებისათვის სამკერდე ნიშნების დასამზადებლად.

6. დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიშის ფორმა:
ანგარიშები წარდგენილ უნდა იქნას საქართველოს სსრ სატყეო
მეურნეობის სამინისტროს ტყეების კეთილმოწყობისა და მშრომელ-
თა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის განყოფილებაში წელი-
წადში ორჯერ:

— სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგებზე ყოველი წლის
20-იანვრისათვის;

— სასწავლო წლის მეორე ნახევრის შედეგებზე ყოველწლიუ-
რად 20 მაისამდე.

7. დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშა-
ობის საეცნიერო-მეთოდურ ცენტრს (ამს. თ. მდგვანი) 1979 წლის
თებერვალში გამოსცეს სასკოლო სატყეოების დებულება და აღნიშ-
ნული დებულება ბროშურის სახით (საერთო ტირაჟი 5 ათასი ეგ-
ზემპლარი).

8. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“, უურნალების: სკო-
ლა და ცხოვრების“ და მისი დამატების „ქიმია-ბიოლოგია სკოლა-
ში“, „საქართველოს ბუნების“ რედაქციებს პერიოდულად გამოაქვე-
ყნონ მასალები სასკოლო სატყეოების მუშაობის შესახებ.

9. ეთნოვის საქართველოს სსრ რალიომაუწყებლობისა და ტელე-
ვიზიის სახელმწიფო კომიტეტს პერიოდულად მოაწყოს გაღაცემები
„სასკოლო სატყეოების“ საქმიანობის შესახებ.

10. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაე-
ვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელო-
ბითი მუშაობის სამმართველოს (ამს. მ. ოჩიგავა) და საქართველოს
სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეების კეთილმოწყობისა
და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის განყოფილე-
ბას (ამს. ვ. ჩიქოვანი).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

ო. ჩინელაძე

საქართველოს სსრ სატყეო
მეურნეობის მინისტრი

შ. ჭალაგანიძე

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И МИНИСТЕРСТВА ЛЕСНОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

ЗАЯВЛЕНИЕ
ПОДЧИНЯЮЩИХСЯ

О мерах по дальнейшему улучшению работы школьных лесничеств в общеобразовательных школах, школах-интернатах, внешкольных и других детских учреждениях

30 ноября — 6 декабря 1978 года № 2-30/14

Постановление Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР от 22 декабря 1977 года «О мерах по дальнейшему совершенствованию обучения, воспитания учащихся и подготовки их к труду» выдвинуло перед школами республики множество практических задач, среди них такие, как охрана окружающей среды. В решении этой задачи определенную роль может сыграть деятельность школьных лесничеств, организация которых в республике началась еще с 1972 года. Особое внимание работе школьных лесничеств было уделено последующим постановлением вышестоящих органов, в котором значится: «С целью пропаганды значения природных лесных богатств среди учащейся молодежи, привития ей чувства уважения и любви к родной природе, Государственному комитету лесного хозяйства при Совете Министров Грузинской ССР, Министерству просвещения Грузинской ССР и Центральному Комитету ЛКСМ Грузии широко развернуть работу по созданию школьных лесничеств, активному вовлечению в их деятельность учащейся молодежи».

Выполняя указания постановления, лесные хозяйства системы Министерства лесного хозяйства и отделы народного образования при содействии партийных, советских и комсомольских органов проделали определенную работу по созданию на местах школьных лесничеств, максимальному вовлечению в них учащихся, коммунистическому воспитанию молодежи, привитию ей гуманизма, любви к родному краю, к Родине.

В результате проведенных министерствами лесного хозяйства и просвещения мероприятий, на сегодня в республике, в 587 средних, восьмилетних школах и школах-интернатах созданы школьные лесничества, объединяющие более 49 тысяч учащихся. Лесничества взяли на себя охрану 29 тысяч гектаров леса, уход за посаженными лесными культурами.

турями на площади в 3976 гектаров, посадочные работы на площади 82 гектара. Если в 1975-1976-1977 учебных годах учащиеся выполнили работы на 14-15 тысяч рублей, то только за 8 месяцев 1978 года учащейся молодежью, объединенной в школьных лесничествах, выполнены работы на 82,7 тысяч рублей, или на десятков тысяч рублей больше, чем в прошлые годы.

В деле создания школьных лесничеств и максимального вовлечения в них учащейся молодежи особенно отличились министерства лесного хозяйства и просвещения Аджарской АССР и их местные организации, отделы народного образования и лесные хозяйства городов Кутаиси, Ткибули, Болнисского, Каспского, Орджоникидзевского, Ванского, Онского, Адигенского, Тетрицкарайского, Махарадзевского, Мицхетского, Душетского, Телавского и Амбролаурского районов.

